ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5124949

ნომერი: AR1774620

თარიღი : 17.09.2020

გაცემის თარიღი : 01.10.2020

გაცნობის თარიღი : 08.10.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით თავხელიძე , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანზორ ოდიკაძე პ/ნ 18001013150
- თბილისი, წერეთლის მე-5 კორპ. ბინა #48

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი :

წარმოსადგენია შესაბამისი სპეციალისტის დასკვნა, რომ სავენტილაციო მილის ატანა არ არის საჭირო კორპუსის სახურავამდე და მილიდან არ ხდება ჰაერის გაწოვა და დაბინძურება, ასევე წარმოსადგენია უკვე მოწყობილი ღიობის (ხვრეტის) კანონიერებიდს დამდგენი დოკუმენტაცია.

აღნიშნულის კანონიერების არ არსებობის შემთხვევაში საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 112-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების თანახმად, თუ წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე განიხილოს მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხი, ასეთ შემთხვევაში განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული აქტი სამართალდარღვევის თაობაზე და ამ აქტის საფუძველზე გადახდილი ჯარიმის ქვითარი. მხოლოდ მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ იქნება შესაძლებელი განაცხადის ხელახლა განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.
ან ზედამხედველობის აქტის საფუძველზე შწენობის ფასადი მოყვანილი იქნას თავდაპირველ მდგომარეობაში და წარმოდგენილი იქნას ზედამხედველობის აქტი სამართალდარღვევის არ არსებობის თაობაზე და განახლებული ფოტოსურათი სადაც აღნიშნული ხვრეტი ამოვსებული იქნება;

ასევე დამატებით წარმოდგენილი იქნეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი სათანადო წესით დამოწმებული მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, კრებაზე დამსწრე წევრთა რიცხვითი და პროცენტული რაოდენობის მითითებით, წარმოდგენილ იქნეს კრების ოქმი, რომელსაც დაესწრო ამხანაგობის 2/3 (67%) და კრებაზე განსახილველ საკითხს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა.

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.